სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 66

2014 წლის 21 ივნისი

ქ. თბილისი

„2014 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 11 თებერვლის N14 ბრძანებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ანი ჩიქოვანის სამსახურებრივი ბარათის (N527762) და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის წერილის (N527743) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2014 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2014 წლის 11 თებერვლის N14 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ დანართის მე-7 მუხლში და აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაგციით:

„მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარდგენის ვადები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში ონლაინ წარდგენა შესაძლებელია:

ა) არა უგვიანეს 2014 წლის 25 თებერვლისა - 2014 წლის 15 მარტიდან - 30 აპრილის ჩათვლით დაგეგმილი ღონისძიებებისათვის;

ბ) არა უგვიანეს 2014 წლის 24 მარტისა - 2014 წლის მაისი-ივნისში დაგეგმილი ღონისძიებებისათვის;

გ) არა უგვიანეს 2014 წლის 20 მაისისა - 2014 წლის ივლისი-აგვისტოში დაგეგმილი ღონისძიებებისათვის;

დ) არა უგვიანეს 2014 წლის 22 ივლისისა - 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დაგეგმილი ღონისძიებებისათვის;

ე) არა უგვიანეს 2014 წლის 20 სექტემბრისა - 2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში დაგეგმილი ღონისძიებებისათვის;

ვადის დარღვევით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები შესაბამისი პერიოდებისათვის საკონკურსოდ არ განიხილება."

7. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ფონდის ვებ-გვერდზე: www.rustaveli.org.ge

8. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური